ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N38

სხდომის ჩატარების დრო:
11 დეკემბერი, 2023 წელი

სხდომის ჩატარების ადგილი:
რუსთაველის გამზირი N3
ადგილობრივი თვითმმართველობის
შენობაში არსებული სხდომათა დარბაზი N210

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ამირან კოპალეიშვილი.**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები:
მაია სიმონიძე, თეიმურაზ ნადირაძე, ჯემალ ბიბილეიშვილი, მამუკა რიჟამაძე, ზაქრო მამასახლისი, ბესიკ ხამაშურიძე, კობა გურული, ნინო ბიბილეიშვილი, დავით ბახტაძე, გიორგი კილაძე.

სულ: 11 წევრი.

არ ესწრებოდნენ: მაგდა კოსტავა, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია.

სულ: 3 წევრი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის- ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი **თინათინ ბერიშვილი.**

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში მოწვეული სპეციალისტი **იმედა საღინაძე,** საია-ს ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი **ნოდარ ჯიქია.**

სხდომა გახსნა საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** და წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

3.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

4.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობა N1), ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ;

5.ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე სოფია ქარჩხაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

6.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანის პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

დამტკიცდეს კომისიის სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის პირველი საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხას დაემატოს N490-493 პუნქტები თანდართული რედაქციით, წარმოდგენილია ოთხი მიწის ნაკვეთი და აქედან ერთ ობიექტს, კერძოდ, ნიკეას ქუჩაN20, 4000 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთი, აღმასრულებლის გადაწყვეტილებით ამ ეტაპზე არ იქნება განხილული და დამატებითი შესწავლის მიზნით ამოღებულ იქნას ჩამონათვალიდან. რაც შეეხება დანარჩენ ობიექტებს, ესენია ლესელიძის ქუჩა N2-ის დასავლეთით(1308 კვ.მ), დავით და კონსტანტინეს ქუჩის მიმდებარედ (3833 კვ.მ) და რეზო ჭეიშვილის ქუჩის მიმდებარედ(244კვ.მ) არსებული მიწის ნაკვეთები."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი**: „პირველი და მეორე ობიექტი მოგახსენებთ, რომ არის ბოტანიკური ბაღის მიმდებარე ტერიტორია, რიონის მხარეს, სავარაუდოდ არის მსურველი, რომელიც ამ ტერიტორიას მოაწყობს და გააშენიანებს."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-8 წევრი, თავი შეიკავა-ნინო ბიბილეიშვილმა, გიორგი კილაძემ და დავით ბახტაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 მარტის N359 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" შესაბამისი შენიშვნის გათვალისწინებით

მუხლი 2. დღის წესრიგის პირველ საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შესაბამისი შენიშვნის გათვალისიწინებით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეორე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

საკითხთან დაკავშირებით მოსაზრებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-8 წევრი, თავი შეიკავა-ნინო ბიბილეიშვილმა, გიორგი კილაძემ და დავით ბახტაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციისა და სარგებლობაში გასაცემი ობიექტების გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 მარტის N177 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" შესაბამისი შენიშვნის გათვალისწინებით

მუხლი 2. დღის წესრიგის მეორე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შესაბამისი შენიშვნის გათვალისიწინებით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მესამე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის

მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქ ქუთაისში, ვარლამიშვილის ქუჩაზე N1 ა-ს აღმოსავლეთით მდებარე ძირითადი განუსხვისებელი ქონების გასხვისების თაობაზე, საკითხი ეხება ვარლამიშვილის ქუჩაზე 12 კვადრატული მეტრის ფართობის გზის ნაწილის სტატუსის მქონე მიწის ნაკვეთს, რომელიც ფაქტობრივი მდგომარეობით არ წარმოადგენს გზის ნაწილს, არის უბრალოდ ე.წ ტროტუარის უკანა მხარე, დაინტერესებულ პირს სურს შეძენა, ხოლო გასხვისება ვერ მოხდება თუ არ შეეცვალა განუსხვისებელი ქონების სტატუსი."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „კიდევ ერთხელ გავაკეთებ განმარტებას, ეს ტერიტორია ატარებს გზის ნაწილის სტატუსს, ამ სტატუსის მოსახსნელად საჭიროა საკრებულოს წევრთა 2/3 თანხმობა, ამ წუთში არის კიბის უჯრედი და გაცემულია იჯარით, როგორც გზის ნაწილი, ფუნქცია დაკარგული აქვს და თქვენი თანხმობის შედეგად დავაყენებ საკითხს კენჭისყრაზე."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

კომისიის წევრი ბატონი **თ.ნადირაძე:** „კიბის უჯრედი შედის ამ 12 კვადრატულ მეტრში?„

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** „დიახ შედის, ყვავილების გვერდზე არსებული ორსართულიანი შენობა, რომლის პირველ სართულზეც არის მაღაზია „მაგნიტი," ამ შენობის გვერდზე არის ეს აღნიშნული მიწის ნაკვეთი, რომელიც მხოლოდ სტატუსს ატარებს და ფაქტოობრივად ფუნქცია დაკარგული აქვს, როგორც გზის ნაწილი."

კომისიის წევრი ქალბატონი **მ.სიმონიძე:** „და ამ ტერიტორიის გასაყიდად გატანა ხდება?"

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ქალბატონი **თინათინ ბერიშვილი:** „პირველ რიგში უნდა მოეხსნას სტატუსი, რომ მოხდეს მისი პრივატიზება."

კომისიის წევრი, ბატონი **გ.კილაძე:** „მე ადგილზე არ მინახავს ეს ტერიტორია, ვიცი რომ სტატუსი რამდენიმე წლის წინ მიენიჭა, დეტალები მაქვს დასაზუსტებელი და შემდეგ გადავწყვეტ მივცე თუ არა ხმა."

კომისიის წევრი ქალბატონი **მ.სიმონიძე:** „აქ არსებული კიბე სად შედის?"

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი**: „კომერციული ფართის მეორე სართულზე, რომლის მეიჯარეც მოქალაქე ლია ბუცხრიკიძეა."

კომისიის წევრი ქალბატონი **მ.სიმონიძე**: „რა ღირს კვადრატული მიწის ნაკვეთი ამ ტერიტორიაზე?"

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი**: „მინიმუმ 250 ლარი, დაინტერესებული პირიც სავარაუდოდ მეიჯარეა, ვისაც უნდა, რომ ეს კიბეც თავის საკუთრეში იდგეს, ფაქტობრივად ჩვენთვის გამოუყენებელია ეს ტერიტორია დიდი ხანია და ვფიქრობ, გასხვისებით თანხაც შემოვა ბიუჯეტში და ბიზნესსაც ხელს შევუწყობთ."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-8 წევრი, თავი შეიკავა-ნინო ბიბილეიშვილმა, გიორგი კილაძემ და დავით ბახტაძემ) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მესამე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეოთხე საკითხის- „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობა N1), ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური

განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „საკითხი ეხება ავტომშენებლის ქუჩაზე არსებულ სველ წერტილს (32 კვ.მ), 2 წლიანი აუქციონის გამოცხადების შესახებ, გარემონტების პირობით."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი**: „გვაქვს სამხარაულის ბიუროს დასკვნა, წლიური ღირებულება შეადგენს 2400 ლარს, თუ კი ვინმე მოაწესრიგებს და ნორმალური ფუნქციონირების საშუალება ექნება ამ ობიექტს, არ უნდა იყოს საწინააღმდეგო."

საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩაზე მდებარე შენობა-ნაგებობა N1), ელექტრონული აუქციონის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეხუთე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე სოფია ქარჩხაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური

განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(განკარგულების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „საკითხი ეხება ჭავჭავაძის გამზირი N53ა-ში არსებულ ბაზარს, 680 კვადრატული მეტრის ფართობს, 20 წლის ვადით იჯარით გადაცემის თემას, 2 წლიანი საშეღავათო პერიოდის პირობით რა დროშიც მოქალაქე გააკეთებს რემონტს, ხოლო 2 წლის შემდეგ 3200 ლარი იქნება წლიური საიჯარო ქირის საფასური, ფართი არის ჩვენს საკუთრებაში და ამ წუთში არანაირი მოქმედი ხელშეკრულება არ არსებობს."

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს, დაისვა შეკითხვები, გაკეთდა განმარტებები:

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „რეალურად რომ შევაფასოთ, ქონებაზე თანხას დახარჯავენ და მოაწესრიგებენ, 5 წლის შემდეგ ფასი გადაიხედება და ეკონომიკური ზრდის შესაბამისად გაიზრდება ქონების ფასიც, იჯარა შემოვა ქალაქის ბიუჯეტში, ვფიქრობ ურიგო არ იქნება."

კომისიის წევრი, ბატონი **გ.კილაძე:** „რატომ არ ვაცხადებთ აუქციონს, იქნებ ამ პირობით უფრო მეტად ვყიდით აუქციონის საშუალებით, იმდენად მოთხოვნადია ეს ადგილი, დარწმუნებული ვარ, ფასი ბევრად გაიზრდება."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „თუმცა ბევრჯერ გვქონია შემთხვევა, რომ აუქციონი ჩაგვარდნია, ერთ მაგალითს გავიხსენებ ახლო წარსულში ჩვენ გავაფორმეთ კერძო სუბიექტებზე იჯარის ხელშეკრულებები, ესეც ჭავჭავაძის თემა იყო და გემახსოვრებათ, რომ არ გამოჩნდა დაინტერესებული პიროვნება და ამ კონკრეტული ადამიანების ინტერესების გამო, შემდეგ გავაკეთეთ ასეთი რამ, დღეს განსახილველი თემა, ვფიქრობ საკმაოდ სარფიანი შემოთავაზებაა, პირველი ორი წლის მანძილზე მოქალაქე ქირის ნაცვალად ჩვენს საკუთრებას კეთილმოაწყობს და შემდეგ საკმაოდ დიდ თანხას შემოიტანს ბიუჯეტში, რაც მიზნობრივად ბევრად მნიშვნელოვან და საჭირო ღონისძიებებზე გადანაწილდება."

საკითხთან დაკავშირებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეხუთე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, (მომხრე-6წევრი, თავი შეიკავა-ზაქრო მამასახლისმა და კობა გურულმა, წინააღმდეგი-გიორგი კილაძე, ნინო ბიბილეიშვილი და დავით ბახტაძე) **დ ა ა დ გ ი ნ ე ს:**

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს განკარგულების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით (სასყიდლით, პირობებით), იჯარის ფორმით, მოქალაქე სოფია ქარჩხაძისათვის სარგებლობაში გადაცემის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

მ ო ი ს მ ი ნ ე ს:

დღის წესრიგის მეექვსე საკითხის- **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანის პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"**

ზემოაღნიშნულ საკითხზე განკარგულების პროექტი წარმოადგინა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა **თინათინ ბერიშვილმა.**

(დადგენილების პროექტი
ოქმს თან ერთვის)

ქალბატონმა **თ.ბერიშვილმა** აქვე განმარტა: „საკითხი ეხება ელექტრომობილების პარკირების გადასახადისაგან გათავისუფლებას."

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „დავაზუსტებ, ქალაქის მასშტაბით არის ოთხი წერტილი, სადაც დაყენდა დასამუხტი აპარატები, ამ ადგილებზე მხოლოდ ელექტრომობილებს შეეძლებათ პარკირება, რაც იქნება უფასო ისევე, როგორც დამუხტვა."

კომისიის წევრი, ბატონი **კ.გურული:** „ამ განსაზღვრულ ადგილზე თუ დადგება ჩვეულებრივი ავტომობილი რახდება მაშინ?"

ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე, ბატონი **ა.კოპალეიშვილი:** „აუცილებლად დაჯარიმდება, თუმცა აქვე მინდა ავღნიშნო, რომ ეს ელექტრომობილი შეუზღუდავი დროით ვერ დადგება, მხოლოდ იმ დროის განმავლობაში შეუძლია პარკირება, რაც დატენვისთვისაა საჭირო."

კომისიის წევრი, ბატონი **ზ.მამასახლისი:** „კიდევ ერთხელ შევეხები მრავალჯერ გაჟღერებულ პრობლემატურ საკითხს, ე.წ. „სტაიანშიკების" თემას, რომელიც ვერასდროს

მივიყვანეთ ბოლომდე, სიტყვა სიტყვად რჩება და სირცხვილია, თუ მთელი ქალაქის მასშტაბით არა, ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მაინც მივიღოთ გარკვეული ზომები."

საკითხთან დაკავშრებით დებატები შეწყდა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა **ამირან კოპალეიშვილმა** დღის წესრიგის მეექვსე საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარა კომისიის 11 წევრმა. კენჭისყრის პროცედურას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: მაგდა კოსტავა, ლაშა შალამბერიძე, გრიგოლ შუშანია.

ღია კენჭისყრით, ერთხმად **დ ა ა დ გ ი ნ ე ს**:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს დადგენილების პროექტი „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების, ავტომანქანის პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის N69 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

მუხლი 2. დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე მიღებულ იქნეს დასკვნა შენიშვნების გარეშე თანდართული რედაქციით და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოეს სხდომას განსახილველად.

ამით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და

საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე

ამირან კოპალეიშვილი